KARR0183966208922

სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება

№ 1-1/20 **30 / აგვისტო / 2022 წ.**

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.08.01.054) ლოჯისტიკური პარკის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე, 41-ე, 43-ე მუხლების, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2022 წლის 26 აპრილის № 1516-VIIIმს-Xმპ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 13/05/2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020556) მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების, „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისთვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 20 დეკემბრის № 594 დადგენილების, „მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე ლოგისტიკური პარკის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 ივნისის №977 განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.08.01.054) ლოჯისტიკური პარკის განაშენიანების დეტალური გეგმა (დანართი №1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე